



ნანს. გ. ლაღიშვილი

ქართული
ბიბლიოთეკა

№ 20 ოქტომბერი თბილისი 1957

ბიჭ

ორმოცი წლის მძლე თარიღი,
ორმოცი მზის შუქით ბრწყინავს,
და სამშობლო – საბჭოეთი
კვლავ დიღუბით მიდის წინა!

რომ ოქტომბრის დიდ მეგზურად
მიუძღოდეს ყოველ დროსა,
კომუნისმის მშენებლობის
და მშვიდობის დიდი დროსა!

დიადი იუბილარის საჩუქარი

(კოსმოსური ლექციის წაწყობა)

ქართული
ბავშვებისთვის



ოქტომბერი, როგორც კაცობრიობის განმაახლებელი თვე, აღმოჩენილი იქნა ამ ორმოცი წლის წინათ. ჩვენ გვინდა პატარა წანამძღვართ დავიწყეთ:

მას შემდეგ, რაც დროთა ანგარიში არსებობს, არსებობდა თვე ოქტომბერიც. იყო იგი, როგორც კვირების რიგითი სათვალავი, როგორც მეთე ერთეული წლისა, მართალია, მას თავისი ფუნქცია მაშინაც ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ რაც პროლეტარიატმა ლენინის დროს აღმართა, უცებ გამოირკვა, რომ:

ოქტომბერი არის საწყისი დროისა, რომელსაც მოაქვს ხალხთა სიხარული.

ოქტომბერი არის გამოსავალი წვრილი მშრომელთა თავისუფლებისა.

ოქტომბერი არის მშენებლობისა და აღორძინების მკვიდრი საფეხური, კომუნისმისაკენ სტარტის მიმცემი თვე.

ოქტომბერი არის მშვიდობის, ხალხთა ძიობის ბრძენი აგიტატორი და პრობაგანდისტი.

ოქტომბერი არის ტექნიკური პროგრესის მზიური დასაწყისი.

ერთი სიტყვით, სიკეთის თვეა ოქტომბერი.

საოცარი კიდევ ისაა, რომ კაცობრიობისათვის ეს დიდი საჩუქრები ოქტომბერმა თანამიმდევრობით გამოავლინა, თანდათანობით გამოაჩინა და თავის საკუთარ იუბილეს ხომ უბრწყინვალესი საჩუქრით შეხვდა!

რასაკვირველია, მიმიხვდით, რაზედაც ვლაპარაკობ.

ღიას, «დედამიწის თანამგზავრზე».

საბჭოთა ქვეყნის მეცნიერთა შემოქმედებითი ტრიუმფი დღეს ყველა პლანეტას აზანზარებს.

აი, ეს ჩვენი «თანამგზავრი» თავისუფლად დასეირნობს მიწის ორბიტის გარშემო, თავისი საოცარი სიგნალებით ესაუბრება ყველა წერტილზე მცხოვრებ ადამიანებს, ხალხის სიკეთისათვის ყველა მზრუნველს და მოყვარეს ალაფრთოვანებს. ხოლო დუშმანს—«მკავე გუნებაზე» აყენებს, დაჰქრის იგი ერთი სფეროდან მეორეში, ქვეყნის ხუთივე მხარე, როგორც იტყვიან, «ფეხქვეშ გაიგდო» და მილიონი კილომეტრები გასცურა «უმკვრივო», «უპაერო» სივრცეში. კიდევ მილიონ, მილიარდსა და ტრი-

ლიონ კილომეტრებს გაიგდის და, როგორც ამბობენ, შემდეგ დაუბრუნდება დედამიწის მიზიდულობის სფეროს.

ეს არის ის, რაც ახლა ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს, მაგრამ რაც ჩვენი მხედველობის სფეროს მიღმა ხდება, მისი წარმოდგენაც ორმაგად საინტერესოა.

აი, წარმოიდგინეთ, გადმოდგენ «მთვარელები» (პირობითად ასე შევარქვათ მთვარეზე მცხოვრებთ!) მათ მოჰყვენ სატურნელები, ვენერელები, მარსელები და სხვა პლანეტელებიც. გადმოდგენ და პირდაღებულეზმა იკითხეს:

— ეს რა პლანეტაა? ათადანბაბადან აქ ვცხოვრობთ უდარდელად, ჩვენს მამაპაპას აქ უბრწყინვია, ქვეყანა აქედან უნათებია მზისგან ბოძებული შუქის ნარჩენებით, მაგრამ ასეთი მნათობი ჯერ არ გვინახავს. სადაურია?


მიიკითხ-მოიკითხეს და, როცა «თანამგზავრის» ვინაობა გამოარკვიეს, დაფაცურდნენ, რათა პურმარილით შეხვდნენ და მით თავისი კეთილმეზობლური სურვილები გაუმჟღავნონ მიწიერ სტუმარს. და ეს მოხდა სრულიად ბუნებრივად: დღეს-ხვალ ხომ უნდა დაიწყოს იქ ჩვენი საშინაო მიმოსვლა, ჩვენი ექსკურსიები, ან, ვთქვათ, ჩვენმა პროფორგანიზაციებმა ხომ იქითკენ უნდა გავგინაწილონ სააგარაკო საგზურები!

მაშ ასე, სანამ ეს საოცარი თანამგზავრი დაბრუნდება, ვიდრე მისი შემცვლელი სხვა, საბჭოთა ზეთანამგზავრი გასცდება მიწის ორბიტს, შეიჭრება ციურ სხეულთა ტერიტორიაზე და ამრიგად, სამომოსვლო მარშრუტს ვკვლევს საპლანეტათშორისო ციურ ტრანსპორტს, გვინდა გვლავ ოქტომბრის უდიდეს თემას დაუბრუნდეთ, გვინდა დასახურებული აღტაცებით ვადიდოთ ოქტომბრის ავტორი ქვეყანა, მისი გმირი ადამიანები, მათი შემოქმედებითი აზრი და უქრობი ენერჯია, მათი ძალა და კეთილი მისწრაფებანი, რომელთა დიდ დემონსტრაციას ერთხელ კიდევ საზეიმოდ მოახდენს ჩვენი სამშობლო, საბჭოთა ქვეყანა, ჩვენი დიდი ხალხი, ყველა მშრომელი, ყველა პროგრესული ადამიანი დღეს, შვიდ ნოემბერს, მთელს დედამიწის ზურგზე და დაგსძინოთ:

დიდება დიად იუბილარს!

ზარსადანი

მთვარე --- დარჩი ცოტა ხანს!
დედამიწის თანამგზავრი — ბოდიში უნდა მოვიხადო, ეს საოქტომბროდ ამოვირბინე, მალე უფრო დიდი ხნით გაწვევი!



მუზეუმის თანამშრომელი გა-
ხლავართ, საუკუნეთა გასაღები
ხელთ მიპყრია და ამიტომაც
ხშირად ვალეზ გარდასულ საუ-
კუნეთა ლაბირინთების კარებს.
ფანტაზია რეაქტიული სისწრა-
ფით გამაქანებს ხოლმე, მეც მიფუ-
შვებ აზრის გორგალს და რაც
უფრო შორს მივდივარ, მით უფრო
ნათელი ხდება რანი ვიყავით და
რანი ვართ. აი, გუშინაც იქაუ-
რობას ყვავილებით ვალამაზებ-
დი და თან ფრესკებს ვემუხაი-
ფებოდი.

— ჩემო ვახუშტი, რომ იცოდე რამდენი რამ გავაკეთეთ
ამ ორმოც წელიწადში, შენისთანა კაცი ძაგ ჩარჩოში ვერ
გაჩერდება. — თი, საკვირველება! თითქოს გაიგო ჩემი ნათქვა-
მი, ერთი კი შეირბა ჩარჩოში და ჯიქურ მომიახლოვდა. ბრინ-
ჯივით დავაბენი, შემდეგ უკბად მოვიკრიფე გონება, წაიოვ-
ტი, სკამი შევთავაზე. თავი სიზნარში მეგონა, მაგრამ ისე
ცხადად ვხედავდი ვახუშტის, რომ უკეთ ტელევიზორშიც ვერ
დანიხავთ. — თქვენს ორმოცი წლის დღესასწაულს მეც მინდა
დავესწრო, საქართველო მოვიარო, ვნახო რა გავაკეთეთ ამ
დროის მანძილზე. ვინძლო ჩემს რუკაზედაც შევცვალო რა-
მეო, — მეუბნება.

მარტო ვერ გავალ ფონს ვიცი, ამიტომ ვეცი ტელეფონს,
გეოგრაფიულ საზოგადოებაში დავრეკე, ორიოდ წუთში „ზი-
მი“ მოსრიალდა. ჩავსხედით, ვახუშტიმ ბატის ფრთა მოი-
მარჯვა, მაგრამ მე თავაზიანად მივაწოდე ავტოკალამი.
უკვე თბილისის ქუჩებში ვართ.

— ეს რუსთაველის პროსპექტია, — ვეუბნები სტუმარს.

დიდად მოხიბლა თბილისმა ვახუშტი. ვახტანგ
გორგასალი რას იფიქრებდა, ოდესმე ასეთი ქა-
ლაქი თუ გაშენდებოდაო. ვატყობ: გულით ნა-
ნობს, ჩემსავით მეოცე საუკუნის მოქალაქე რომ
არ არის. „ტფილისში სახლნი წაშენი არიან
ქვა-ტალახითა და ვალესილი გაჯითა“, ვიგონებ
ვახუშტის გეოგრაფიიდან. აბა რა გასაოცარია,
რომ ვაოცდეს? „საქნახშირის“ შენობამაც მიიქ-
ცია ვახუშტის ყურადღება. საკვრეტად საამოაო,
თქვა და შიგ შესვლა მოინდომა, პირველი შთა-
ბეჭდილება რომ დარჩენოდა, ვურჩიე: სანახავი
ისედაც ბევრი გვაქვს. თბილისის ზღვაც მოვი-
ნახულოთ-მეთქი.

— ზღვა თბილისისა? — დაეჭვებით შემომხედა
გეოგრაფმა, შემდეგ თავისი რუკა გაშალა და
დააკვირდა.

— ზღვა არცა სადმე იპოვების თბილისის შემოგარენს,
არცა ვისმეს ზღაპრად უთქვამს, — მეუბნება გამწყრალი.

— წამობრძანდით, თქვენი თვალთ იხილეთ, — ვეუბნები
და მივქრივართ სამგორისაკენ. ათი წუთიც და ვახუშტი თვი-
თონ დასეირნობდა კატერით თბილისის ზღვაზე და ხშირად
იმეორებდა: „დიდება შენდა უფალო“. მერე კვლავ გაშალა
თავისი რუკა და ფანქრით რაღაც ლურჯი წერტილი აღნიშ-
ნა თბილისის მახლობლად. სამგორის არხმაც რამდენჯერმე
აღანიშნია რუკაზე პირობითი ნიშნები.

— ახლა რუსთავ ქალაქსაც ვეწვიოთ. — ვეუბნები ვახუშ-
ტის.

— ქალაქი? ჰო, ეგ მეცნაურების, „მტკვარსა ვალმართ
ბოსტან-ქალაქი, რომელი არს რუსთავი, აწცა არს ოხერ“ —
გაიხსენა ვახუშტიმ თავის გეოგრაფიიდან. მან ვერც კი მოას-
წრო რუკის გაშლა, რომ ჩვენს წინაშე გაიშალა მეტალურ-



გების ქალაქი. აბა, აქ უნდა გენახათ აღტაცებული ვახუშტი
ხოლო მეტალურგიული ქარხნის ხილვისას მისი გაცემის
საზღვარმა უსაზღვრობამდე მიიღწია. შემდეგ რუკას დაუბ-
რუნდა, სადაც „ბოსტან“ იყო აღნიშნული „ფოლადად“ გადა-
კეთა და შიგადაშიგ კიდევ მრავალი პირობითი ნიშნები
ჩასვა.

გორის ბამბას სართავ-საქსოვმა კომბინატმა და საქონსერვო
ფაბრიკამ, ქიათურის მალარობებმა, ზესტაფონის ფეროშენად-
ნობმა ქარხანამ ისე ააფორიაქა მისი რუკა, რომ უკვე ძნელი
იყო გარკვევა — რუკა იყო თუ პირობითი ნიშნების კოლექცია.
კახეთის ბალ-ვენახებმა ხომ სულ დაათრო ვახუშტი. საქართვე-
ლოს მარნად იყო ცნობილი ოდითგანვე კახეთი, ახლა კი
აღბათ მთელ ქვეყნიერებას ეყოფა აქ დაწურული ღვინო, —
სახეგაბრწყინებული ამბობდა დიდი გეოგრაფი.

ქუთაისი ვერ იცნო, სანამ ბაგრატის ტაძრის ნანგრევები
არ შენიშნა.

ახლა ავტოქარხანამ მოიყვანა განცვიფრებაში. კვლავ გა-
შალა რუკა, კვლავ აღნიშნა რაღაც, ხოლო როცა ავტომან-
ქანა საჩუქრად მოართვეს, არ იცოდა მადლობა როგორ გა-
დაეხადა. ექსკურსია ქუთათური მანქანით განვაგრძეთ.

ფოთში რომ შევედით, ვახუშტიმ ნაჭობარს გადახედა და
კვლავ რაღაც აღნიშნა თავის რუკაზე. სადღა იყო ახლა ძვე-
ლი „კოლხიდა, კიდენი ქალოვანნი და ვაკეთა აყრილნი ეწერ-
ნი, ბარდოვან ტალახ-ქანჭობიანი და ფერად მწვანე“.

თბომავალ „გრუზიათი“ მოვიარეთ ჩვენი რესპუბლიკის
შავიზღვისპირეთი. დიდი სიამით სვამდა აქაურ
ჩაის აქაური ლიმონით, რუკაზე კი კვლავ ახალ-
ახალ ნიშნებს სვამდა.

— ეს განა მარტო საქართველოშია ასე, —
ვეუბნებოდი დიდ გეოგრაფს, — მთელს ჩვენს ქვე-
ყანაში იცვლება ბუნება. ვოლგა-დონის არხი,
ყაზახეთში გატეხილი ყამირები, ციმბირის მიწაზე
ახალი ქალაქები და სოფლები რომ გაჩენა, მა-
შინ რაღას იტყვი. მალე ჩრდილო ყინულოვან
ოკეანეს გავათბობთ და მურმანსკულ ფორთოხალს
თელავში იყიდის ქართველი კაცი. — ვახუშტი
მისმენდა. მეც ლაპარაკის ეშხში შევდიოდი და
ახლა იმაზე ვესაუბრებოდი, როგორ აიგება სტა-
ლინგრადის გრანდიოზული პიდროელექტროსად-
გური, როგორ განხორციელდება საპლანეტაშო-
რისო მოგზაურობანი, როგორ განსაცვიფრებელ-

პერსპექტივებს გვიშლის წინ ატომის ენერჯია.
ვახუშტიმ კიდევ ერთხელ დახედა ახალი ნიშნებით მთლად
დაფარულ ძველი საქართველოს რუკას. ამ ორმოცი წლის
მანძილზე ამდენი მოუსწრიათ, აწ რაღას იზამენო, ფიქრობ-
და აღბათ.

— რუსეთს მრავალი მეგო-
ბარი მყავს, იქაურობის ხილვაც
მესურვების, — ინატრა დიდმა გეო-
გრაფმა. მეორე დღესვე ტუ-104-ით
გავრძელდა ჩვენი ზღაპრული ექს-
კურსია.

დანარჩენს შემდეგ მოგახსენე-
ბთ, ახლა საცაა საოქტომბრო
პარადი დაიწყება და მეც მეჩქა-
რება, თუმცა თქვენც ყველანი იქ
იქნებით და რისი თქმაც ვერ მო-
ვასწარი, საკუთარი თვალთ ნა-
ხავთ.

გ. გალდავაძე
გ. კატარიაძე





გამარჯვებულია სიმღერა
დაფრინავს კარით კარში:
დაწყო დაღწერულბლდ
დადი ოქტომბრის პარადი.
ფარჩავენ თუთის მტარდები
თბილისს ზეცას მოწმინდის.
ნიაწვის ბელევაზონი
ჩაგრთეთ რუსთველის პარასტექტი.
მთლიან გალიმბულნი
დაილი განთიადითა,
ვინც ამ ორმოც წელს შრომაში
ჩვენი ქვეყნა ააღდა.
მოდინ, სიცილ-სიცილოთ

გვენობათ ბევრი მათგანი,
ზოგი თუ ფულადს ადნობდა,
ზოგს ამოქონდა მადანი,
სახე მხიარულ ღიმილით
მტომაც იაფურადეს,
რომ არ დადლიათ მარჯვენა
მეტრეველს, ჩაჩრფელაქეს.
ეს მოღმარაჲ კაილი კი
გორგელაქა ემინე,
იმდენი კრიფა ჩაი, რომ
ქვეყნას დააღვიწინებს.
იყნით მარად ჭაბუკი
ქართული ცეცის ქარბუკი,

„გედების ტბაში“ მცურავი,
ვატყავი სხვას რას ინატრებს?
არც „გორდა“ დაძველებია,
არც ჩაქრობია „სისათლე“.
იყნით გმირი „ოტელო“,
მისი მაღალი სად არი,
ხან გემის კაპიტანი და
ხან კი — უებარო სარდალი.
იყო ჯავარა, ივლითი,
იყო მარგარიტ ოტვი
და ლაზოვო არაფრია
მღერალი გამარულ მტიგებებს;

გმირი კალი თუ მიჯნური,
ჩა არ კოფილა ვერიკო,
მანამ ვერ იტყვის ვერაინ,
რომ უებარო ვერ იყო.
აზერ ტაბიტე, მელექებს
რაც კი უვლია მწენდ გუფო,
ჯერ ლექსი სწავდა, მერე მწე,
ჯერ მწე და მერე ლექსები.
იყნით ისტორიკოსი
მუღამ პერგამენტვაშლილი?
ან განუწრელი პალატრიო

ცნობილი გულდაშვილი?
პაიქამე და კორქია
ფეხით და ხელით განთქმულნი.
ბუთით კარში და კალათში,
სიხნე, სიმარდე ქართული.
აბულაძე და ჩხეიძეც;
მოაბიჯებენ ზუიშვეც;
მათ ხომ „მაგდანას ლურჯაოთ“
შეშობარეს მსოფლიო,
დიდება ჩვენი ექრანის
რომ კილით კიდე მოჰფინონ.

ალბათ მაშინვე იყნით
„აბუზარა“ და „პირკინა“,
გაბიქვიკა ექრანზე
და თავი გამოჩინა.
მოდინ, მოაქეთ გულუზგად
ამ ორმოცე წლის დღეობით,
წოდინ, სიმღერა, ფოლადი,
რაც ოქტომბერმა ახარა,
ნურც დაილოხს ნურასდროს,
იზრავლოს ერთი ახალი.

ნიანგის ღაქსიკონი

„ამერიკის ხმა“—მხოლოდ „პაერზე“ ისმის.

ატომი — მასაც გული აქვს, ომის გამაღებელს კი—არა.

გაერთ. ერების ორგანიზაცია — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის, ამერიკელებმა რომ ჩინური კედელი შემოავლეს, ის არის. დაძაბული ატმოსფერო — ე. ი. ატომსფერო.

„ერთა თანასწორობა“ — უნდა გასწორდეს: ერთთა თანასწორობა ერთა წინააღმდეგ.

„თავდაცვის ბლოკი“ — „ნატოსაც“ ასე უწოდებენ, თუმცა თავდასხმის მიზნებს ისახავს.

თეთრი სახლი — შავი საქმეები კეთდება.

ირანის ნავთი — უცხოელები ითბობენ ხელებს.

რკინის ფარდა — იმპერიალისტებს სურთ მათი მხრიდან ნაილონისა იყოს.

ჩრდ. ატლანტიკის კავშირი — რა კავშირი აქვს მასთან ამერიკას?

„ცივი ომი“ — როდესაც ცხელ სიტყვებს ისვრიან.


ტაივანი — უნდა იქნას, რომელსაც ყოველმხრივ წყალი აქვს შემდგარი.

მიმოხილველი



— ბატონო რედაქტორო, მოსკოვში გახლდით ფესტივალზე და შემოდია ცოცხალი შთაბეჭდილებები მოგაწოდეთ.

— ჩვენ ისეთი ადამიანის შთაბეჭდილებები გვესაუბრობა, რომელსაც თვალთ არ უნახავს მოსკოვი.



— ამერიკა ატომის იარაღს აწვდის დასავლეთ გერმანიას, მიმასუხე, ჯონ, როგორი წინადადებაა?

— აგრესიული წინადადებაა, მასწავლებლო!

სუფიზმი

ჩიკაგოს ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებელმა მეცხრე კლასის მოწაფე, ჯონი, დაფასთან გაიძახა და ჰკითხა:

— რას გვასწავლის ჩეხოსლოვაკიის ისტორია? ჯონმა ჯერ კიდევ წინა საღამოს დიდი მონდომებით შეისწავლა ისტორიის სახელმძღვანელოდან მეორე დღის მასალა, ამიტომ სწრაფად და გაბედულად დაიწყო:

— ჩეხები გაბედული და გამძლე ხალხია. ისინი ყოველთვის წინააღმდეგ იბრძოდნენ...

— ცუდია! — სწრაფად შეაწყვეტინა მასწავლებელმა და მეორე მოწაფე, ჯიმი გამოიძახა.

— ჩეხოსლოვაკია — ეს ისეთი ქვეყანაა, რომელსაც საუკუნოებით ხან ერთი სახელმწიფო ეყრდნობდა და ხან მეორე. პოლონეთიც ასეთივე ქვეყანაა, — განაცხადა ჯიმი.

— ყოჩაღ, ჩინებულია! — შეაქო მასწავლებელმა ჯიმი.

— კი მაგრამ რუსების შესახებ რაღას იტყვი, ჯონ?

— რუსები ახალი პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიური წყობისათვის იბრძვიან. რუსმა მეცნიერებმა და მუსიკოსებმა ისტორიაში პროგრესის ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს...

— ეს რა სისულელეა, — შეაწყვეტინა მას ჯიმი, — მეფის მთავრობის რეჟიმი კომუნისტურმა დიქტატურამ შეცვალა, ხოლო კომუნისტი კი რუსი მე-

ცნიერების, მწერლებისა და მუსიკოსების დიად ტრადიციებს განადგურებით ემუქრება!

— მართალია ჯიმი, — თქვა მასწავლებელმა, — შენ კი, ჯონ, ორიანს გიწერ. გაკვეთილი არ მოგიზნადებია.

— მაპატიეთ, — მიმართა. შეწუხებულმა ჯონმა, — თუ არ დამიჯერებთ, მე შემოდია ისტორიის სახელმძღვანელოში ის ადგილი გიჩვენებთ, საიდანაც გაკვეთილი მოგამზადე! — თავისი, 1945 წელს გამოცემული ისტორიის სახელმძღვანელო გადაშალა და წაიკითხა:

— „რუსეთი ერთ-ერთი დიდი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელთანაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მომავალში უნდა ითანამშრომლონ, თუ მათ სურვილი აქვთ და შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მისიას, მსოფლიოში მშვიდობის საქმეში“.

— შენ ეს წიგნი უნდა დაწვა, — განრისხებით უთხრა მასწავლებელმა ჯონს, — შენც იმავე სახელმძღვანელოთი უნდა იმეცადინო, რომლითაც ჯიმი იმეცადინებო. ეს სახელმძღვანელო — „ხალხთა ახალი ისტორია“ 1954 წელს „პენრი გოლდ ენდ კომპანის“ მიერაა გამოცემული როკერის, ადამსის და ბრაუნის რედაქციით.

— სათქმელად ადვილია: იყიდე ახალი წიგნი! — ჩაილაპარაკა ჯონმა და იმ მერხზე დაჯდა

სადაც ჯიმი იჯდა. — მესამე თვეა მამა უმუშევარია.

— შენც ახალს ნუ იყიდი, რა საჭაროა, — ურჩია მას ჯიმი. — სულ უბრალოდ, შეგიძლია, რომ ძველი სახელმძღვანელოთი ისარგებლო. მხოლოდ იცი რას გეტყვი? რაც მასში სწერია, ყველაფერი შებრუნებით წაიკითხე, ყველგან „არ“ ჩასვი და ყოველთვის ხუთიანებს მიიღებ.

იმავე დღეს, საღამოთი ჯონმა თავისი ძველი სახელმძღვანელო გადაშალა, ზუსტად ისე, როგორც ჯიმი ურჩია, ხმამაღლა დაიწყო კითხვა:

— „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ყოველგვარი ხრიკები იხმარეს თავისი მხრიდან იმისათვის, რომ ჰიტლერს ომი არ წაეგო... ამერიკის შეერთებული შტატები სრულიადაც არაა თავისუფლებისა და დემოკრატიის ქვეყანა... ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ყოველნაირ ზომებს ღებულს იმისათვის, რომ არ შეუწყოს ხელი მშვიდობის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში...“

— რას კითხულობ მანდ, ჯონ? — შეეკითხა მამა.

— „ხალხთა ახალი ისტორია“.

— საინტერესოა, — უთხრა მამამ, — მე კი ვფიქრობდი, რომ ჩვენს სახელმძღვანელოებში სიმართლის ნატამალიც არ იყო.

თარგმნა ეფ. იორაგაზვილი

ეს გრილი დღე სწორედ მისწრება გამოვიდა ჩემთვის. დღეს მთელი ქალაქი მაქვს შემოსავლელი. თბილისის თითქმის ყველა მიმართულება შედის ჩემს საქმიან მარშრუტში. მერე რა? მიცოცხლოს ჩვენი ქალაქის ტრანსპორტი და მისი მოძრაობის მომწესრიგებელი პიროვნებანი თუ უწყებანი. გამიჭირვებენ მიმოსვლას, დამაბრკოლებენ, შემაწუხებენ რამეში თუ?

რა ბრძანებაა. სხვა რომ არა იყოს-რა, ჩვენ ხომ რიგას ვევიბრებით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ. თავი და თავი კიდევ ის არის, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავისათვის ვემზადებით და ყველა ჩვენგანა ცდილობს სანიმუშოდ იმუშაოს. ტრანსპორტიც ამ მიზეზთა გამო მაინც ხომ უნდა იყოს სანიმუშო?

ზედმიწვევით ასე ვფიქრობდი დღეს დილით, როცა ჩემი «მარშრუტი» ჩამოვიწერე და სახლიდან გამოვედი.

მაგრამ მე ვფიქრობდი უფრო საინტერესო ამბავს: სახელდობრ ვფიქრობდი იმას, რომ თბილისის საბჭოს სათანადო განყოფილებაც, ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოც, ტაქს-ავტობუსების პარკიც ფიქრობდნენ ამასვე, ე. ი. ფიქრობდნენ ჩემს და ჩემისთანა ათიათასობით თბილისელის სახერხო მგზავრობაზე. შეუწუხებელ მიმოსვლაზე. აბა, რა გგონიათ, მათ კი არ აწუხებს ეს საკითხები? არ იფიქროთ!

ჰოდა, გამოვედი. გამოვედი და, უნივერსიტეტისაქვე, კალანდაძის ქუჩის კუთხესთან, ავტობუსს ვუცდიდი, ვუცდიდი დიდხანს, დაუსრულებლივ, ვუცდიდი და ველავდი. მაგრამ იყო ერთი დამამაზებელი ნუგეში: ვგრძობდი, რომ აღნიშნული დაწესებულებებიც ჩემს მაგიერ ღელავდნენ. ბოლოს, როცა ავტობუსს ედირსა გაჩერება და უკანა კარები გაიღო, იქიდან მგზავრების შესვლა კი არა, ჩამოსვლა დაიწყო; როცა ავტობუსის შესასვლელში გაჩხირულ უბილეთო ლაზღანდარების უტიფერმა «სად ჰოძვრებიმ» და მჯიღის კვრამ უკან გადმომაგდო, მაშინაც ვიგრძენი, რომ ჩემს მაგიერ აღნიშნული დაწესებულებები შეწუხდნენ, შერცხვათ--ეს პატარა საკითხი რატომ ვერ მოვაწესრიგეთო!

თქვენ შეგიძლიათ ისიც იგულისხმოთ, რომ მომავალ ავტომანქანებს, რომელნიც მსგავსი ტრანსპორტის გაჩერების დროს წესით უნდა ჩერდებოდნენ, ბუზად, ჭიანჭველად არ ჩაუთვლივართ არც მე, არც სხვა ჩემისთანები, არ გაჩერებულან. — გაქანებულნი მიჰქროდნენ წინ და მე თან შიშით ვიწურებოდი, თან გული მიგრძობდა, როგორ სწუხდნენ ჩემთვის იგივე დაწესებულებანი—ეს ხომ აშკარა წესის დარღვევაა—ფიქრობდნენ!

თქვენ, ცხადია, სცენის ბოლომდე გაგრძელება გაინტერესებთ: ავტოტრამვაიც ჩამოგდა, ტროლეიბუსიც გვერდზე მოუდგა, ერთმანეთს თითქმის მიეჭედნენ, ყველა ჩქარობს, აბა, თუ ბიჭი ხარ, იმარჯვე და რომელიმე მათგანზე მოხვდი!

ამ გაწამაწიში ბევრმა მართლაც იმარჯვა—მიადწია მიზანს, მოთავსდა ჩვენ კი დავრჩით. დავრჩით მუჯღუგუნებით გვერდებზეაბეჭილნი. წყალში გადაგვეყარა ლოდინში დაკარგული დრო, მოისრისა ჩვენი ქათქათა ტანისამოსი

ახლა ამას ისიც დაუმატეთ, რომ თვით ტრამვაის კანტიარობისგანაც და ან იგივე უბილეთო ლაზღანდარები ხელით იჭერდნენ, ან კონდუქტორი, ჩვეულებისამებრ არ კეტავდა—«რაზე ვაწყენინო, სტილნი ყმაწვილები არიან, მაგათ რა იციან ზრდილობა რა ხილიაო». აი, ამის გამო იყო, მოხუცი დედაკაცი ბურთივით რომ გადმოვორდა და თათრული ლავაშივით გაბრტყელდა. შევწუხდით, მაგრამ რაო ჩემო? გულს რად ვავიტყვით? განა არ გვახსოვდა, რომ ჩვენს მაგიერ ისევ «ზემორე» ხსენებული დაწესებულებები და, უფრო მეტად ტრანსპორტის მიმოსვლის მარეგულირებელი განყოფილება სწუხდა!

იქონიე მოთმინებაო, მეუბნებოდა გონება, სხვა პუნქტს მიაშურეთ. მივაშურეთ.

ესეც გაჩერება ვერის ბაზართან. მინდა სადგურისკენ გავუყვე, მაგრამ როგორ გავუძვრ-გამოვუძვრე ამდენ ტრამვაი-ტროლეიბუს-ავტობუსსა და ყოველგვარ «ბუსს», რომელთაც ერთად მოუყრიათ თავი, ერთმანეთის გასწვრივ? ერთი რომ ჩერდება, მეორე იძვრის, გასავლელი გზა არ არის, ვერც თუ ვერე ადვილად შეხვალ შენთვის სასურველ ტრანსპორტში. აქაც იგივე სცენები. ბევრჯერ უარესიც. ითმინეთ,—მეუბნება ეს დასაწვავი გონება და მეც ვითმენ... ისევ «ზემორე» დაწესებულებების იმედით.

შემდეგი «სამოგზაურო სეანსი» ძნელადის ქუჩის კუთხეში და «ზარია ვოსტოკას» რედაქციის გასწვრივ გადამხდა. რა კარგია, რომ აქ ტრამვაი აღარ გრუხუნებს, მაგრამ სად არის შენთვის საჭირო ნომერი ავტობუს-ტროლეიბუსი? უცადე, უცადე! ერთიც იქნება—მოვა, სადამომდე ხომ არ დაგტოვებენო.—მეუბნება იგივე გონება.


მართლაც სადამომდე არ დავრჩენილვარ, მაგრამ იმაში კი დავრწმუნდი, რომ ამ მარშრუტის დასაკმაყოფილებლად ორჯერ მაინც მეტი ავტობუსი, ან ტროლეიბუსი უნდა იყოს. სამუშაო საათებში მაინც.

მაგრამ მარშრუტს ნუ გადავუხვევთ. ასე იყო თუ ისე, მივალწიე ყველა მიმართულების გაჩერებას. ათასი რამ მოვისმინე, ყველაზე საინტერესო, ყველაზე მწარე კი ის, რომ დღეს თბილისში არსებული ტრანსპორტის მოძრაობა «ორი ფეხით» თუ არა, სამივე ბორბლით მაინც «კოჭლობს», გაჩერებებზე ჩამომდგარი ვაგონების მანძილი ერთიმეორისაგან დაშორებდას, ხოლო მგზავრთა ჩახსლომა-გადმოსხდომის დროს ქუჩაში მავალი ტაქსებისა და კერძო ტრანსპორტის შეჩერების წესი გახსენებას მოითხოვს.

მაინც იმედიანად განვაგრძობ მარშრუტს, რადგან გამახსენდა, რომ ზემოთ დასახელებული დაწესებულებები დღეს თუ ხვალ გაიგებენ ჩემს გაჭირვებას, ათასობით ჩემნაირთა გაჭირვებას და ამ «ბატარა» ნაკლს გამოასწორებენ-მეთქი!

ასევე იყოს, კარგსაც იზამენ, თუ ქალაქის ტრანსპორტის უკეთ მოწესრიგების საკითხებს ადრე და მალე მოაწესრიგებენ.

თარსი



წითელი ფერის ფსიქოზი



ნან. გ. ლოლუასი

რედაქტორი—ელგუჯა მალრაძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, დ. გაბაშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, თ. ქელიძე.

საქ. კმ ცენტრალური კომიტეტის გამოცემლობა

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нიანგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრესბ. № 42 ტელ. 3-10-49

გამომც. № 20, ხელმოწ. დასაბ. 21/X-1957 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეჯ. № 1169. უფ. 03724. ტირ. 30.000.

— მისტერ პეტერსონი კვლავ ჯიუტად მოითხოვს
არ ვიცნოთ კომუნისტური ჩინეთი!
— ჩვენ საბჭოთა კავშირსაც არ ვცნობდით თით-
ქმის 17 წლის მანძილზე, მაგრამ თავი თვითონ გაგვა-
ცნეს და ახლა უკვე ორმოცი წლისთვის აღესასწაუ-
ლობენ

